შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორი

_____ ა.დიასამიძე
14.06.2021 წ.

დადგენილება:
2021 წლის 14 ივნისის სენატის დადგენილება, ოქმი N14;
საფუძველი:
ნდ 2-010107 „ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება“

შესავალი

2021-2027 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდეგში ბუსსს ანრი ან სასწავლებელი) განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომლითაც განსაზღვრულია სასწავლებლის მომავალი შვიდი წლის (2021-2027) ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და სტრატეგიული ამოცანები. რომელიც გვაჩვენებს მკაფიო მიმართულებას და გადაწყვეტილებათა ლოგიკას მისიის განსახორციელებლად.

2019 წელს სასწავლებელმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლების აუცილებლობა განაპირობა 2021 წლის ავტორიზაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტის შედეგებმა და გარე ექსპერტების მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ:

- განახლდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სტარტეგიულ გეგმაში გაიწეროს მიზანი/მიზნები, ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლებლის გენერალური დირექტორის ინიცირებით დღის წესრიგში დადგა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის საკითხი. პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა სასწავლებლის გენერალური დირექტორი. პროცესში მონაწილეობდნენ პროფესიული სტუდენტები და დამსაქმებელი კომპანიების წარმომეადგენლები.

2021-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და 2021 სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი განხორციელდა სასწავლებელში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

ნდ 2-010107 „ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულების“ მოთხოვნათა შესაბამისად.

1. სასწავლებლის ისტორია

2000 წლის ივნისში დაარსდა შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“. 2005 წლის აგვისტოში სასწავლებელმა შეიცვალა სახელწოდება და დაფუძნდა, როგროც შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი“, ხოლო 2014 წლის 01 ივლისიდან მას ეწოდება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი.

სასწავლებელი სერტიფიცირებულია ISO 9001:2015 საერთაშორისო ხარისხის სისტემის შესაბამისად, ფლობს IQNet-ის სერტიფიკატს.

შპს ბუსსს ანრის ორი მიმართულება: პროფესიული განათლება და მეზღვაურთა წვრთნა და სერტიფიცირება პასუხობს ნაციონალურ და საერთაშორისო სტანდარტების, რეგულაციების მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან:

1) სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება;
2) სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა;
3) სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
4) სამოქმედო გეგმის შედგენა;
5) სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.



სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წარმოდგენილია ციკლური სახით, ვინაიდან სტრატეგიული განვითარების გეგმა ექვემდებარება გადახედვას, როგორც განსაზღვრული პერიოდულობით, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების საპასუხოდ. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი შესაძლებლობას იძლევა, პერიოდულად გაიზომოს, რამდენად აღწევს საზღვაო სასწავლებელი დასახულ სტრატეგიულ მიზნებს.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს, განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

3. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

ა) სტრატეგიული გეგმის გადახედვის ინიცირება მოხდა გენერალური დირექტორის მიერ, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყო სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავება და ამ პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვა.

ბ) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის საქმიანობას კოორდინაციას უწევდა გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფდა კომუნიკაციას სასწავლებლის სხვადასხვა ერთეულებთან, წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრირებას და სხვა მხარდაჭერას.
სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ:

- გენერალური დირექტორი
- ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- განათლების ხარისხის სპეციალისტი
- მეზღავურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ხარისხის სპეციალისტი
- პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი
- ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი
- საფინანსო განყოფილების უფროსი
- სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროსი
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
- იურიდიული განყოფილების უფროსი
- პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
- პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი
- დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენელი

გ) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა შეიმუშავა დაგეგმვის პროცესის დროში გაწერილი გეგმა, რომელიც მოიცავდა სტრატეგიული გეგმის შექმნის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებსა და პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული გეგმის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:
პირველ ეტაპზე - არსებული მდგომარეობის შეფასებას, მოლოდინებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას, სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების ახლებურ გაანალიზებას.
მეორე ეტაპზე - სასწავლებლის მისიის განაცხადის რევიზიას, სასწავლებლის სამომავლო ხედვის ფორმირებას, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების რევიზიას, სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების რევიზიას, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის სქემის შექმნას და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განახლებას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

4. ბუსსს ანრი-ს მიღწევები

4.1 საგანმანათლებლო საქმიანობა

41.1 პროფესიული განათლების დეპარტამენტი

მე- III დონის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები:

- ✓ საგემბანე განყოფილების ექპლუატაცია
- ✓ გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია

4.1.2 მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირებიც ცენტრი - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული 46 საწვრთნელი კურსი.

4.1.3 პერსონალი

ბუსსს ანრიში დასაქმებულთა როდენობა შეადგენს 129, აქედან 55 საშტატო პერსონალი, 45 პროფესიული მასწავლებელი და 29 მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ისტრუქტორი.

4.2 ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტთან (ISO) შესაბამისობა. ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი ბუსსს ანრი-ში უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფასა და მის მუდმივ გაუმჯობესებას, პერსონალის კომპეტენტურობისა და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის გარანტიას.

ბუსსს ანრი-ს ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატები: Certificate of Quality Management System Conformity ISO 9001:2015, N19.0478.026.

4.3 საერთაშორისო დარგობრივ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა

შპს ბუსსს ანრი არის ისეთი ორგანიზაციების წევრი, როგორიცაა:

- ❖ **სკკა კერძო კოლეჯების ასოციაცია** - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მისიაა პროფესიული განათლების სფეროში კერძო დაწესებულებების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციის გაზრდა შიდა რესურსების კოოპერირების, ახალი ცოდნის გენერირების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, სასწავლო პროცესში ახალი მეთოდოლოგიების დანერგვის გზით და ასევე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესების დაცვა და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ასოციაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.
- ❖ **აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაცია**

საერთაშორისო ასოციაციაციები:

- **IASST** (უშიშროებისა და გადარჩენის წვრთნების (მომზადების) - საერთაშორისო ასოციაცია) - უსაფრთხოებისა და გადარჩენის საგანმანათლებლო ორგანიზაციების ასოციაცია, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას საზღვაო გარემოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ხელი შეუწყოს საერთაშორისო დონეზე უსაფრთხოების და გადარჩენის განათლების მუდმივ გაუმჯობესებას. IASST მიზნად ისახავს უსაფრთხოების და გადარჩენის ტრენინგების გაუმჯობესებას მის წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.
- **Global MET** (გლობალური საზღვაო განათლება და მომზადება) - ასოციაცია რეგისტრირებულია ავსტრალიაში და გააჩნია საერთშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) საკონსულტაციო სტატუსი, რომელიც ახორციელებს საქმიანობასა და კვლევას საზღვაო ტრენინგისა და განათლების სფეროში. GlobalMET– ის შექმნა განპირობებულია მისი წევრების სურვილით, მხარი დაუჭირონ IMO– ს მიზნებსა და ამოცანებს რომლებიც დაკავშირებულია „უფრო უსაფრთხო გემებთან და უფრო სუფთა ოკეანეებთან“. და ამ მიზნების მისაღწევად ზღვაში განათლებისა და ტრენინგის სასიცოცხლო მნიშვნელობის აღიარებასთან. საზღვაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და საზღვაო გარემოს დაცვის დასახმარებლად კოლექტიური ძალისხმევის აუცილებლობა საზღვაო განათლებასა და მომზადებაში.
- **BSAMI** (შავი ზღვისპირეთის საზღვაო სასწავლებლების ასოციაცია) - არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა შავი ზღვის ექვსი ქვეყნის მიერ 2010 წელს და მიზნად ისახავს გახდეს უმაღლესი ხარისხის საზღვაო პერსონალის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმწოდებელი რეგიონში. BSAMI– ს წევრები იზიარებენ შემდეგ აღიარებას: გლობალიზაცია მთავარ ტენდენციად დარჩება XXI საუკუნეში. გლობალიზებული ბაზარი ითხოვს საუკეთესო ხარისხს ყველა პროდუქტში და მომსახურებაში, მსოფლიოს ყველა ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უპირველეს ყოვლისა უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვაზე, კომფორტულობასა და კმაყოფილებაზე, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ფაქტორი. საზღვაო ინდუსტრია ყველაზე გლობალიზებულია. ამიტომ, თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად, მათ სჭირდებათ უმაღლესი ხარისხის საზღვაო პერსონალი.
- **IMLA** (საზღვაო ლექტორების საერთშორისო ასოციაცია) - პედაგოგების და სხვა დაინტერესებული მხარეების გაერთიანება მთელი მსოფლიოდან, რომლებიც შუამავლობენ საზღვაო განათლებისა და ტრენინგის (MET) პროცესში, თავისუფლად წარმოადგენენ თავიანთ მიღწევებს, აზიარებენ გამოცდილებას და ცვლიან იდეებს.
- **BIMCO** ბალტიისპირეთის და საერთაშორისო საზღვაო საბჭო

5. ორგანიზაციული სტრუქტურა

ბუსსს ანრის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები რაც განსაზღვრულია სასწავლებლის შინაგანაწესით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ოპერატიულობასა და მოქნილობას. ამავე დროს, გვაჩვენებს, თუ როგორ არის გადანაწილებული ძალისხმევა და დახარჯული რესურსების მოცულობა ძირითადი ამოცანების შესასრულებლად.

სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულნი ფლობენ სტრატეგიის რეალიზებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს და რესურსებს. მათზეა დამოკიდებული თუ რამდენად ეფექტიანი და მოქნილი იქნება სასწავლებლის საქმიანობა; რა ვადებში, რა ხარისხით და რამდენად შედეგიანად სრულდება სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ვალდებულებები.

6. ხედვა, მისია, ღირებულებები

სასწავლებელს ჩამოყალიბებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებათა სისტემა. შემუშავებულია შიდა ნორმატიული დოკუმეტი N 2-0201-11 „მისია, ხედვა ღირებულებები“. სტრატეგიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფს სასწავლებლის მისიის აღსრულებას.

10. SWOT ანალიზი

შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები, რისკები - Threats
➢ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება/განხორციელება ➢ საზღვაო დარგის პოპულარიზაცია; ➢ ელექტრონული სწავლებისა და ელექტრონული მართვის პლატფორმაზე დაფუძნებული სისტემები; ➢ ადგილობრივ და საერთაშორისო საზღვაო სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარების, რესურსების გაერთიანებისა და სასწავლებლის გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრის მიზნით; ➢ პერსონალის მიერ სხვადასხვა პროექტების მომზადების, პროფ.სტუდენტებისათვის და პეროსნალისათვის ტრენინგების, საჯარო ლექციების, მასტერ კლასების ჩატარება	➢ ავტორიზაციის დაკარგვა; ➢ დაგეგმილი კონტინგენტის მიუღებლობა; ➢ რეგიონში და საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება; ➢ სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებთან ფინანსურად არათანაბარ პირობებში ყოფნა.
ძლიერი მხარეები - Strengths	**სუსტი მხარეები - Weaknesses**
➢ მრავალწლიანი ტრადიცია და საზღვაო განათლების განხორციელების წარმატებული გამოცდილება; ➢ პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება; ➢ წარმატებული ინსტიტუციური საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება; ➢ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა	➢ შეზღუდული გავლენა საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებაზე; ➢ პროფესიულ სტუდენტებში ზოგადი განათლების დაბალი დონე; ➢ პროფესიულ სტუდენტებში ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე; ➢ საგანამანათლებლო პროგრამების

(ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობის, დადასტურების სერტიფიკატები); ➢ აქტიური პოლიტიკა ხარისხის დარგში; ➢ სანდო და წარმატებული პარტნიორობა და თანამშრომლობა რეგიონისა და მსოფლიოს წარმატებულ დამსაქმებლებთან; ➢ დარგობრივი განათლების განხორციელებაზე ადაპტირებული სასწავლო გარემო; ➢ პროფესიული გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო და საწვრთნელ პროცესში; ➢ პროფესიულ სტუდენტზე, მსმენელზე ორიენტირებული ადაპტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება; ➢ პროფესიულ სტუდენტების საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა; ➢ თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და/ან პროფესიულ ასოციაციებთან; ➢ პროფესიული განათლების მასწავლებლების და პერსონალის პროფესული განვითარების ხელშეწყობა;	განხორციელებაში ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლებობა და უცხოელი სპეციალისტების არარსებობა; ➢ ახალგაზრდა მოქმედი მეზღვაურებში პედაგოგიური საქმიანობისადმი ნაკლები ინტერესი; ➢ დარგის სპეციალისტების პედაგოგიური გამოცდილების ნაკლებობა; ➢ პროფ.სტუდენტების ნაკლები ჩართულობა კონფერენციებში და შემოქმედებით საქმიანობაში; ➢ ნაციონალური და საერთაშორისო გრანტების და დაფინანსების არ არსებობა

12. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მისიისა და ხედვის საფუძველზე, სასწავლებლის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, SWOT ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საკითხების გადასაწყვეტად განისაზღვრა განვითარების **7 პრიორიტეტული მიზანი, 15 სტრატეგიული ამოცანა**, **განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორი, პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, შესრულების სტატუსი.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

N	სტრატეგიული ამოცანა	განხორციელების ვადები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი/ სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი	შესრულების სტატუსი
		2021	2022	2023	2024	2025	2026	2027			
მიზანი 1: ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარება											
1	სწავლისა და სწავლების, წვრთნის და მომზადების ხარისხის გაუმჯობესება	☸	☸	☸	☸	☸	☸	☸	პროფესიული სტუდენტებისა და საწვრთნელი ცენტრის მსმენელების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; გაუმჯობესების გეგმა	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	
2	მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის განვითარება	☸	☸	☸	☸	☸	☸	☸	საჭიროების კვლევა; პროფესიული განვითარების გეგმა	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	
3	დისტანციური სწავლების განვითარება	☸	☸	☸	☸	☸	☸	☸	ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა; ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

										უფროსი	
მიზანი 2: განათლების და წვრთნის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება											
4	საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სისტემატური გაუმჯობესება	☸	☸	☸	☸	☸	☸	☸	ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი, ანგარიშები, ოქმები	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	
5	ISO 21001:2018 საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტის სისტემის დანერგვა						☸	☸	მოწვეული ექპერტი; სამუშაო ჯგუფი; ნორმატიული დოკუმენტები	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	
მიზანი 3: პროფესიული სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს განვითარება და მათი უფლებების დაცვა											
6	სტუდენტური სერვისების განვითარება	☸	☸	☸	☸	☸	☸	☸	პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები; დამატებითი აქტივობების ამსახველი მასალა	პროფესიული განათლების დეპარტამენტი; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და	

სტრატეგიული განვითარების გეგმა

Seven-year Strategic Plan of development

2021-2027 წწ.

										სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	
7	განმავითარებელ ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები; განმავითარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალა	პროფესიული განათლების დეპარტამენტი; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	
მიზანი 4: ორგანიზაციული განვითარება											
8	მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	საგანმანათლებლო, საწვრთნელი პროცესების და პერსონალის შეფასება	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	
9	ადამიანური, ფინასური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების განვითარება	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	პროფესიული განვითარების გეგმა; კვალიფიციური პერსონალი; მდგრადი ბიუჯეტი;	ადამიანური რესურსების სპეციალისტი; საფინანსო განყოფილების უფროსი; სამეურნეო განყოფილების უფროსი;	

									სტანდარტებთან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თანამედროვე საინფორმაციო რესურსები	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	
10	გუნდის შეკვრისა და ფორმირების ხელშეწყობა	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	პერსონალის გამოკითხვების შედეგები; ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალა	გენერალური დირექტორი; საფინანსო განყოფილების უფროსი; ადამიანური რესურსების სპეციალისტი	
მიზანი 5: პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით											
11	შრომის ბაზრის კვლევა	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	კვლევების დამდასტურებელი ანგარიში, ანალიზი	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური; პროფესიული განათლების დეპარტამენტი	

12	მე-IV და მე-V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, განხორციელება და შემდგომი განვითარება					❄	❄		შრომის ბაზრის კვლევა; მე-IV და მე-V საფეხურის პროფესიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; პროგრამების ავტორიზაცია	გენერალური დირექტორი; საფინანსო განყოფილების უფროსი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური; პროფესიული განათლების დეპარტამენტი	
მიზანი 6: პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის გაუმჯობესება											
13	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გააქტიურება საწარმოო პრაქტიკის ბაზის და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები დამსაქმებლებთან; უკუკავშირი დამსაქმებლებისგან	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	

14	საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით თანამშრომლობის გაძლიერება პოტენციურ დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	
მიზანი 7: მეზღვაურთა საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება											
15	არსებული ტრენაჟორული, სტენდური და კომპიუტერული დანადგარების, კომპიუტერული სასწავლო პროგრამების და საგამოცდო ტესტების განახლება	❄	❄	❄	❄	❄	❄	❄	ტრენაჟერული და სიმულატორული ფლობის და პროგრამული უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	გენერალური დირექტორი; მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი; სამეურნეო განყოფილების უფროსი	